ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების ფუნქციები და მოვალეობები

ოკუპაციური თერაპევტი

ოკუპაციური თერაპევტი – შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლის გარემოში ეფექტური ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანი უნარების შეფასებას და განვითარებას თერაპიული ჩარევის, აქტივობებისა და გარემოს მორგების, ადაპტური საშუალებების შერჩევისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განათლებაში ჩართული პირების კონსულტირების გზით;

ა) ხელს უწყობს მოსწავლის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას და ზრდის ყოველდღიურ
აქტივობებში მისი მონაწილეობის შესაძლებლობას;
ბ) ხელს უწყობს მოსწავლის უნარ-ჩვევების განვითარებას, სასწავლო აქტივობებში ჩართულობას
და გარემოს მორგებას, საყოფაცხოვრებო უნარების განვითარებას, მათ შორის, თვითმოვლის,
სამზარეულოს გამოყენების, დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების განვითარებას;
გ) ადაპტური საშუალებების შერჩევისა და საკონსულტაციო სამუშაოების განხორციელების გზით, ხელს
უწყობს მოსწავლის სასწავლო პროცესში მონაწილეობასა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების
ხარისხის გაზრდას.

MAC GEORGIA

MAC GEORGIA

მშობლის სკივრი